საქართველოს მთავრობის

დადგენილება №602

2014 წლის 28 ოქტომბერი

ქ. თბილისი

,,სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №143 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ,,სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №143 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/02/2014, 010210040.10.003.017762) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების":

1. პირველი მუხლის ,,ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;".

2. მე-2 მუხლის ,,გ" და ,,დ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილება;

დ) ,,საჯარო მოხელეთა ატესტაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №411 დადგენილება;".

3. მე-8 მუხლის ,,ე" და ,,ვ" ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

4. მე-14 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

5. მე-20 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) საქართველოს კანონი „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ;".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**